ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N05

2018 წლის 29 იანვარი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭო“-ს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მე-13 მუხლის, 1[1] პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

1. შეიქმნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭო“ შემდეგი შემადგენლობით:

ლია შაქარიშვილი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს წევრი-საბჭოს თავმჯდომარე;

ლელა ვერულიძე-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”-ს წევრი-საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

დავით მჭედლიშვილი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე -საბჭოს წევრი;

ნათია თხილაიშვილი -ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-საბჭოს წევრი;

გიორგი გოგიტიძე -ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“ -ს თავმჯდომარე -საბჭოს წევრი;

დავით წულუკიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე-საბჭოს წევრი;

ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე -საბჭოს წევრი;

მამია ჟორდანია-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე-საბჭოს წევრი

ავთანდილ ანანიძე-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე-საბჭოს წევრი;

იოსებ ჟღენტი- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე-საბჭოს წევრი;

ვიტალი ქარცივაძე-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე-საბჭოს წევრი;

ნარგიზ რომანაძე-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება"-ს წევრი-საბჭოს წევრი;

ქეთინო ქათამაძე-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება"-ს წევრი-საბჭოს წევრი;

ნაილე ლაზიშვილი-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება"-ს წევრი-საბჭოს წევრი;

გურამ აბაშიძე-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს წევრი-საბჭოს წევრი;

რომან მოწყობილი-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება"-ს წევრი-საბჭოს წევრი;

გია მჟავანაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,პარტია „პატრიოტები" საბჭოს წევრი;

პაატა ცინარიძე -ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, პარტია „ევროპული საქართველო"-საბჭოს წევრი;

გიორგი ტაბიძე -ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ახალგაზრდობისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი - საბჭოს წევრი;

ნინო თურმანიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე;

მაია მგელაძე-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში -საბჭოს წევრი;

2. დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭო“-ს დებულება თანახმად დანართისა;

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დ.მჭედლიშვილი**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გენდერული თანასწორობის საბჭოს
დებულება

I.ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1.1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს და ქობულეთის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) შესაბამისად ქმნის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს (შემდგომში,,საბჭო“).

1.2, ,,საბჭო“ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონით ,,გენდერული თანასწორობის შესახებ“, ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით)“, სხვა ნორმატიული აქტებით, ამ დებულებით და საკრებულოს თავმჯდომარის სხვა აქტებით.

1.3. ,,საბჭოს“ საქმიანობის ვადად განისაზღვრება მოქმედი საკრებულოს უფლებამოსილების ვადა.

1.4. ,,საბჭოს“ ფუნქციები და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ამ დებულებით.

II. ,,საბჭოს“ ძირითადი ამოცანები

მუხლი 2.

1.,,საბჭოს“ ძირითადი მიზნები და ამოცანები.

მიზნები:

ა) გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში გენდერული ანალიზის დანერგვა;

გ) ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველყოფა;

დ) საბჭოსა და მერიის ურთიერთთანამშრომლობა;

ე) გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ვ) ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდა, პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა;

ამოცანები:

ა) შეიმუშავოს და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ,,საბჭოს“ სამოქმედო გეგმა და უზრუნველყოს ამ გეგმის შესრულება/მორიტორინგი;

ბ) საბჭომ განახორციელოს მუნიციპალური პროგრამების ანალიზი და შეიმუშავოს წინადადებები გენდერულად მგრძნობიარე საკითხების წარმოსაჩენად ან არსებული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად (ასეთის შემთხვევაში);

გ) განიხილოს გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე წარდგენილი განცხადებები, დოკუმენტაცია და სხვა ინფორმაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს მათზე რეაგირება და შეიმუშავოს შესაბამისი რეკომენდაციები;

დ) მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო პირთა (განყოფილების უფროსი მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებში) თანამშრომლობის გაძლიერება;

ე) გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ წამოწეული საკითხების შესწავლა/ადვოკატირება;
ვ) საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების უზრუნველყოფა;
ზ)განახორციელოს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.
2. ,,საბჭო" წელიწადში ერთხელ საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ;

III. ,,საბჭოს" სტრუქტურა

მუხლი 3.

3.1 ,,საბჭოს" თავმჯდომარეს საბჭოს შემადგენლობასთან ერთად ამტკიცებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულებით;
3.2. ,,საბჭოს" მუშაობას ხელმძღვანელობს ,,საბჭოს" თავმჯდომარე;
3.3 ,,საბჭოს" თავმჯდომარის მოწვევით ,,საბჭოს" მუშაობაში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ სხვადასხვა უწყების ხელძღვანელმა პირებმა.

მუხლი 4.

4.1. საბჭოს" სხდომას იწვევს ,,საბჭოს" თავმჯდომარე, საჭიროების შემთხვევაში ,,საბჭოს" თავმჯდომარის მოადგილე ან/და საბჭოს სრული შემადგენლობის 1/3;
4.2. ,,საბჭოს" სხდომის დღის წესრიგს ამტკიცებს საბჭოს" თავმჯდომარე;
4.3. ,,საჭოს" სხდომაზე საკითხების გატანის უფლება აქვთ როგორც ,,საბჭოს" თავმჯდომარეს, ასევე ,,საბჭოს" წევრებს;
4.4. ,,საბჭო" ამზადებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს საკრებულოსათვის წარსადგენად;
4.5. ,,საბჭო" უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ,,საბჭოს" წევრთა ნახევარზე მეტი;
4.6. ,,საბჭოს" სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ,,საბჭოს" დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია ,,საბჭოს" თავმჯდომარის ხმა.

IV. ,,საბჭოს" მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

მუხლი 5.

5.1. გენდერული თანასწორობის საბჭოს მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს აპარატი.